

სამედიცინო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი

გამომცემი 1957 წლიდან

№3 (261) მარტი, 2013 წ. www.tsmu.edu

გაზაფხული



ნომერშია:

„ნაგლის კვლევა და
გაურანდობა“
გვ. 2

საორთქნის და
ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი
თსუ-ში
გვ. 2

სამედიცინო
კონტაქტები:
გვანაზაგია
თსუ-ის
მედიკალინის და
იზრუნების
დაპარტამენტის
ასოცირებული
პროფესორი
გიორგი კახიანიძე
გვ. 3

კლინიკური უნარ-
ჩვევების ცენტრი –
უნიკალური
მედიკალინის
მედიცინის სიხლეთა
წარმომადგენელი
გვ. 4

სტუდენტური გვარდი
გვ. 5-6

აქტივის პორტალი –
ქათავეს ნაბეჭედი
გვ. 6

გამაღვივებელი
პროფესორი
გვ. 7

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია:

ვაჟა-ფშაველას გამზ.
№33;

ოთახი №600

ტ.: 254-24-64;

რედაქტორი

დალი ბაბაშია

ტ.: 599 76-25-98

კორექტორები:

მანანა ფხალაძე

ტ.: 555 29 98 27

დარეჟან კომლაძე

ტ.: 558 17 08 47

ნატო პოლქვაძე

ტ.: 555 28 28 97

ელ. ფოსტა:
medpressa@yahoo.com

თოვლივამ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა!



გაზაფხულის მოსვლის მაუწყებელმა მახარობლებმა ააფერადეს გადახუნებული მიწის გულისპირი... ენძელა, ყოჩივარდა, ფურისულა, ია, წყლისფერი ყაყაჩო მოედო ყრუ ხევს, ტყის განაპირა ჩირგვნარსა და გზისპირებს...
გაზაფხულის პირველი ყვავილები მიწის და სიახლის სურნელით შეესია ქალაქის ქუჩებსაც... ქალბატონებივით ნაზნი და ლამაზნი...
ამ ულამაზესი მინდვრის თაიგულებით გილოცავთ ჩვენო ძვირფასო და მშვენიერო ქალბატონებო გაზაფხულის მობრძანებას და ქალთა დღესასწაულებს!
გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, სასიკეთო განახლებისკენ მუდმივ სწრაფვას, სილამაზეს და დღეგრძელობას!

ადიარება



2013 წლის 2 მარტს ავსტრიაში, ქალაქ ჰალცბურგში, გაიმართა ევროპის მეცნიერების და აკადემიის საზეიმო პლენარული სხდომა, რომელზეც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭორია** აირჩიეს ევროპის მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიის ახალი წევრების ინაუგურაციას ესწრებოდა მრავალი საპატიო სტუმარი: აკადემიის წევრები, ნობელის პრემიის ლაურეატები, ევროპის მეცნიერების და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, საპატიო სენატორები, პოლიტიკური მოღვაწეები...

არჩეულ წევრებს დიპლომები გადასცეს და მიესალმნენ: **გაბი ბურგშტალერი** – ჰალცბურგის გუბ-

ერნატორი, **ფელიქს უნგერი** – ევროპის მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი, **დორის ლოტჰარდი** – შვეიცარიის გარემოს, ტრანსპორტის, ენერჯეტიკის და კომუნიკაციების მინისტრი, შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი,



ივო იოსიპოვიჩი – ხორვატიის პრეზიდენტი და **ბორუტ ფაპორი** – სლოვენის პრეზიდენტი.

ვულოცავთ რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭორიას**, მნიშვნელოვან აღიარებას და ვუსურვებთ დიდხანს ელვანოს ჩვენი ქვეყნის და უნივერსიტეტის სასიკეთოდ!



წარმატება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ქალბატონი **რუსუდან ბერიაშვილი** ორგანიზაცია – „ექიმები ადამიანის უფლებებისთვის“ – საერთაშორისო ექსპერტად აირჩიეს.

ნობელის პრემიის მფლობელი ეს ორგანიზაცია უკვე რამდენიმე ათეული წელია წარმატებით მუშაობს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

ვულოცავთ ქართველ მედიკოსს ამ ღირსეულ წარმატებას და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ სამომავლოდ!

დაჯილდოება

ახლახან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი **ეთერ ქემერტელიძე** ჩვენს ქვეყანაში ფარმაკოლოგიისა და ფარმაციის, ფიტოთერაპიისა და ბიორგანული ქიმიის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – **წმინდა გიორგის ოქროს ორდენით**. ეს მნიშვნელოვანი ჯილდო ქალბატონ ეთერს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** გადასცა.



ვულოცავთ ლეანდომოსილ ქალბატონს აღიარებას და ვუსურვებთ წარმატებებს მომავალშიც!

საჩუქრად უნივერსიტეტს

ისრაელის კომპანია **Alpa-Biotec**-მა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა დენტალური იმპლანტების, ბიო-მასალის, სტომატოლოგიური ინსტრუმენტების განვითარების და წარმოების სფეროში, ჩვენს უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადასცა დენტალური იმპლანტაციის შესასწავლად საჭირო საფანტომო საშუალებები, ზედა და ქვედა უბნის მულაჟები, იმპლანტები, ქირურგიული ინსტრუმენტები და სხვ.



კომპანიის წარმომადგენლებმა სასწავლო მასალები სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ **ს. მღებრიშვილს** გადასცეს.

სკორტის მინისტრი თსსუ-ში



იცინო უნივერსიტეტში და მინისტრს მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები და თსსუ-ის ხელმძღვანელები.

საინტერესო იყო მინისტრის ინიციატივა, რომ სპორტული მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების დაინტერესების შემთხვევა-



სორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, გახსნა, რომელმაც მოკლედ ისაუბრა სპორტულ მიღწევებზე სამედი-

აში სამინისტრო მათ უშუამდგომლებს სპორტულ კლუბებში სტაჟირების გასაველეად.


ჩვენი ქვეყნის სპორტულ სამყაროში სამომავლო გეგმების და პროექტების, სტუდენტი ახალგაზრდობისთვის პრიორიტეტული მიმართულების გაცნობას ემსახურებოდა 25 მარტს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ბატონი **ლევან ყიფიანის**, სტუმრობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. შეხვედრა რექტორმა, პროფე-

კონფერენციები

სამედიცინო კონფერენცია – სამომავლო პერსპექტივით

დუბაიში მიმდინარე მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაში – „ნამლის კვლევა და მკურნალობა“ – (**Drug discovery and therapy**“, 18-21 თებერვალი, 2013 წ.) მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **თამარ სანიკიძემ**.

რსპექტივები. კიდევ ერთი მშვენიერი ფურცელი ჩაინერა ქართული სამედიცინო აზროვნების განვითარებისთვის.



კონფერენციაში მონაწილეობდნენ ნობელის პრემიის ლაურეატები, ნამყვანი მეცნიერები აფრიკის, ამერიკის, იაპონიის, ირანის, ინდოეთის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნებიდან (52 ქვეყანა). ნამოდგენილი ნაშრომები ეხებოდა დიაბეტის, სიმსუქნის, კარდიოვასკულური დაავადებების, კანცერის პათოგენეზის მოლეკულურ მექანიზმებს და დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პრევენციის თანამედროვე მეთოდებს.



ქართველი მეცნიერი პლენარულ სესიებზე წარსდგა ორი მოხსენებით: „**ციტრუსის ექსტრაქტი, როგორც მეტაბოლური სინდრომის ეფექტური საშუალება**“ და „**ქართული წითელი ყურძნის ექსტრაქტის ანტიბაქტერიული ეფექტურობა**“, სადაც გაანალიზებული გახლდათ კვლევების შედეგები, შესრულებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების ფარგლებში.



მოხსენებებმა დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია – დაისვა კითხვები ექსტრაქტების ფართო გამოყენების პრესპექტივების შესახებ. პროფესორ **თამარ სანიკიძის** მიერ კონფერენციის მსვლელობის პროცესში დამყარდა ახალი სამეცნიერო კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებთან, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის პე-

თარების ისტორიაში, რაც ალბათ უცილობელ ასახვას შპოვებს ახალი ეფექტური და რაციონალური სამკურნალო მეთოდების და წამალ-საშუალებების დანერგვის და მოსახლეობის სასარგებლოდ მათი გამოყენების მიმართულებით.

დარეჯან კომლაკა

სტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

22-24 მარტს თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის, „USAID-საქართველოს“, „წითელი ჯვრისა“ და თსსუ-ის ფთიზიატრიის დეპარტამენტის ორგანიზებ-

„USAID“ ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის დირექტორმა, **თამარ გაბუნიაძე**; ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის კეთილი ნების ელჩმა **ზაალ ჩიქოვაძემ** და

თსსუ-ის სტუდენტებმა: **თეა ბაქრაძემ, ანი ბერაია, მარიამ ბერიძემ**.

ლონისძიებმა ესწრებოდნენ „USAID-საქართველოს“ ტუბერკულოზის პრევენციის პროექტისა და „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

24 მარტს სტუდენტები შეიკრიბნენ „მთანინდის პარკში“, დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები; სტუდენტების მიერ მოიხროთ სიმბოლური „ნატვრის ხე“ – სურვილებით და დევიზებით ტუბერკულოზის თემაზე.



ით „ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღე“ აღინიშნა.

ლონისძიება ითვალისწინებდა საჯარო ლექციას; მოხსენებებს, რომელიც წაიკითხეს ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის, ადვოკაციის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მობილიზების კოორდინატორმა **ეკატერინე სანიკიძემ**; თსსუ-ის ფთიზიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ლამარა ვაშაკიძემ**;



ოფიციალური ვიზიტით



16 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ფრაიბურგის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის №2 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ჰუბერტ ბლუმი** და **ბად კროცინგენისა** და **ფრაიბურგის** საუნივერსიტეტო კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს წე-


ვრი, ქართულ-გერმანული საზოგადოების თავმჯდომარე, **ბერნარდ გროცი**.

გერმანულ კოლეგებს უმასპინძლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**. ოფიციალურ შეხვედრას ესწრებოდნენ: რექტორის მოადგილე, პრო-

ფესორი **რ. ბერიაშვილი**; მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **თ. ჩიქოვანი**; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ი. ავალიანი**; სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესორი **ნ. ვეფხვაძე**; გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, **რ. ჯორბენაძე** და ამავე კლინიკის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამედიცინო დირექტორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, **ზაზა ლაზარიშვილი**.

შეხვედრაზე განიხილეს მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები საგანმანათლებლო და კლინიკური აქტივობების მიმართულებით.

შეხვედრა სამედიცინო ტურიზმის კომპანიის წარმომადგენლებთან



15 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და რექტორის მოადგილე, გიორგი აბესაძე შეხვედრენ სამედიცინო ტურიზმის კომპანიის „**on medic**“ (ისრაელი) ხელმძღვანელს, **ოლგა კარპინსკის** და კომპანიის წარმომადგენელს საქართველოში – **ნოდარ მეტრეველს**.

ავალი ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები, ასევე, ურთიერთობის საკითხები კომპანიასა და საუნივერსიტეტო კლინიკებს შორის ტელემედიცინის მიმართულებით.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ისრაელის წამყვან კლინიკებთან და საავადმყოფოებთან მომ-

სამეცნიერო კონტაქტები

ბიორბი კამპაიში: „CPHR-სა და თსუ-ს შორის დაგეგმილია არაერთი სამეცნიერო პროექტის განხორციელება“...



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს როგორც მსოფლიოს არაერთი ქვეყნის წამყვან სასწავლო-სამედიცინო სკოლასთან, ისე სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან. ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერები კი არა მხოლოდ აქტიურად არიან ჩართულები კვლევით საქმიანობაში, არამედ ხშირად თავად წარმართავენ პროცესებს ამ თვალსაზრისით და მნიშვნელოვან სიტყვას ამბობენ სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში. ერთ-ერთი მათგანია თსუ-ის მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ბიორბი კამპაიში, რომელიც წლების განმავლობაში აწარმოებდა სამეცნიერო კვლევებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის, ვირუსული ჰეპატიტებისა და ახლად აღმოცენებული ინფექციების სფეროში. 2013 წელს იგი სათავეში ჩაუდგა აშშ-ის რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის (CPHR) ლაბორატორიების სამეცნიერო მუშაობას. ჩვენ შევხვდით ბატონ გიორგის და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— ბატონო გიორგი, როგორც ვიცით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობა აქვს რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრთან, რომლის ლაბორატორიების სამეცნიერო მუშაობას თქვენ ხელმძღვანელობთ. თუ შეიძლება, გვესაუბრეთ ამ ცენტრისა და თსუ-სთან მისი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების შესახებ...



ნმრთელობის კვლევით ცენტრთან, რომლის ლაბორატორიების სამეცნიერო მუშაობას თქვენ ხელმძღვანელობთ. თუ შეიძლება, გვესაუბრეთ ამ ცენტრისა და თსუ-სთან მისი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების შესახებ...

CPHR გახლავთ ულტრათანამედროვე დაწესებულება, რომლის დაწინაურება, განავითაროს ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო კვლევები და ხელი შეუწყოს სამეცნიერო თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. აშშ-ს მნიშვნელოვანი ინვესტიცია ამ დაწესებულებაში ხაზს უსვამს საქართველოსთან თანამშრომლობის სურვილსა და ორმხრივ ძალისხმევას საქართველოსა და, ზოგადად, მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ში ახლახან გააფართოვა გლობალური ჯანდაცვის ინიციატივა (GHI), რაც მასში საქართველოს ჩართვასაც გულისხმობს. CPHR-ში მიმდინარე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის სამუშაოები ზუსტად პასუხობს GHI-ის გამოწვევებს. რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრს შეუძლია უზრუნველყოს ტექნიკური ექსპერტიზა და კვლევა, რაც ხელს

ინსტიტუტებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების ჩამოყალიბების პროცესს, რაც აუცილებელია რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ხანგრძლივი წარმატებისა და სტაბილურობისთვის.



შეუწყობს ინფექციურ დაავადებათა აღმოჩენასა და მათ პრევენციას, ასევე, ამ პროცესების მასსიათებლების უკეთ შეცნობას.

რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი განთავსებულია 8.000 კვ. მ. ტერიტორიაზე, აქედან ლაბორატორიის ფართობი შეადგენს 2, 551 კვ. მ.-ს (სურ 2, 3 — ცენტრის სურათები); მას აქვს ბიოუსაფრთხოების მე-2 და მე-3 დონის შესაძლებლობები; წარმოადგენს ინფექციურ დაავადებათა ინტეგრირებული კონტროლის რეგიონულ ცენტრს და გააჩნია ადამიანებისა და ცხოველთა დაავადებების კომბინირებული კვლევისა და დიაგნოსტიკის უნიკალური შესაძლებლობები.

CPHR პერსონალი კომპლექტდება მსოფლიოში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა თანამედროვე ლაბორატორიების მსგავსად და იზიდავს წამყვან ექსპერტებს რეგიონული ჯანდაცვის საკითხებზე სამუშაოდ. ამერიკის შეერთებული შტატები არის პარტნიორი მსგავსი თანამშრომლობითი კვლევითი ცენტრებისა ტაილანდში, პერუში, ეგვიპტესა და კენიაში. სხვა ცენტრების მსგავსად, აქ მოხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში ქართველი მომავალი ექსპერტებისა და მკვლევარების მომზადება, რასაც ხელს შეუწყობს ლაბორატორიის მუშაობაში აშშ-ის მხარის ჩართვა და საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც, მაგალითად, არის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), მოზინვა და მათთან თანამშრომლობა. ზემოაღნიშნული ექსპერტების მიერ მოწოდებული რესურსები და ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობების განვითარების გამოცდილება გააუმჯობესებს ცენტრსა და სხვა რეგიონულ ჯანდაცვის

იული პრეპარატებისადმი რეზისტენტობის მოლეკულური მექანიზმების შესწავლაზე. აღნიშნულის ფარგლებში სამედიცინო უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტებს, რომლებიც გამოავლენენ სერიოზულ დაინტერესებასა და მონდომებას, ჩაუტარდება სპეციალური ტრენინგი კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიასა და ტექნოლოგიაში, რაც განხორციელდება CPHR-ის სპეციალურ სასწავლო ლაბორატორიაში.



თანამშრომლობის პროცესში აქტიურად ჩართება თსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლა. მისი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა შორის საუკეთესოებს დღესდღეობით აქვთ შესაძლებლობა, ერთი სემესტრის გა-

ნმავლობაში გაიარონ გაღრმავებული მომზადება ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებში. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ფოგარტის საერთაშორისო ცენტრსა (FIC, NIH) და თსუ-ს შორის დამყარებული თანამშრომლობის ფარგლებში. ახალგაზრდა სპეციალისტთა ეს კოპორტა აქტიურად იქნება ჩართული ლუგარის ცენტრის პროექტებში.

თანამშრომლობის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება ანტიბაქტერიული პრეპარატებისადმი რეზისტენტობის კვლევა. დღეს-დღეობით რეზისტენტული ინფექციური აგენტების, მათ შორის მრავალი პრეპარატისადმი გამძლე პოსპიტალური ინფექციების, წილი პროგრესულად იზრდება და, ამდენად, საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის სერიოზულ პრობლემად ჩამოყალიბდა. 2013 წლის მაისის თვეში დაგეგმილია საერთაშორისო სემინარის ჩატარება ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის საკითხებზე. თსუ-ს მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის, ასევე ფარმაცოლოგიის დეპარტამენტები პირველ რიგში ჩაერთვება ამ მიმართულებით CPHR-სთან კოლაბორაციულ პროექტებში, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ანტიბაქტერ-

ით, რომლის ანალოგი არ არის მთელს რეგიონში.

დღესათვის ცენტრსა და ჩვენს უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ. თსუ-ის მხრიდან ცენტრის ჩამოყალიბების პროცესის ყველა ეტაპზე აქტიურადაა ჩართული პროფესორი თანამშრომლობის ფარგლებში. ახალგაზრდა სპეციალისტთა ეს კოპორტა აქტიურად იქნება ჩართული ლუგარის ცენტრის პროექტებში.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ხელმძღვანელობით დაინიშნა სამწლიანი პროექტი, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. რას გვეტყვით აღნიშნული პროექტის შესახებ?

— ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდება C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის მიმდინარეობის მოლეკულურ-ვირუსოლოგიური და იმუნოგენეტიკური ფაქტორების კვლევა. პროექტი შესრულდება სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფთან სამეცნიერო კოლაბორაცია უკვე რამდენიმე წელია, რაც ხორციელდება და შესწავლილია ქართული პოპულაციისათვის დამასასიათებელი საინტერესო იმუნო-



გენეტიკური მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა ინფექციური დაავადების მიმართ მდგრადობასა თუ მიდრეკილებას. პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. ამავე ფონდისა და CRDF/GRDF ერთობლივი მხარდაჭერით დაინიშნა კიდევ ერთი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს პირველად საქართველოში ოლიგონუკლეოტიდების (მცირე დნმ-მ მოლეკულების) სინთეზის აწყობას და ბიოინფორმატიკის სერვისის დაწესებას. აღნიშნულმა პროექტმა მიიღო 2012 წლის საუკეთესო ინოვაციური პროექტის ჯილდო (სურ. 4.) აღნიშნული საბაზო ერთეული მოემსახურება აკადემიურ ინსტიტუტებს, სამეცნიერო ჯგუფებს, სადიაგნოსტიკო ცენტრებს, მწარმოებელ კომპანიებს და, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოში მოლეკულური მედიცინისა და ბიოლოგიის განვითარებას.

— რასაც, თქვენზე საუბრიდან გამოდინარე, უდიდესი როლი მიენიჭება, ზოგადად, მომავლის მედიცინაში...

— მოლეკულური მედიცინა იქნება ერთ-ერთი ის პრიორიტეტული მიმართულება, რომლის ეგიდითაც მოხდება CPHR-სა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის ერთიანი ინტერდისციპლინური სამეცნიერო-საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება.

2013 წლის თებერვალში CPHR-ში გაიხსნა ბიოინფორმატიკის კომპიუტერული კვანძი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მთელი რეგიონის მასშტაბით. ბიოინფორმატიკა არის მეცნიერების ახალი, ულტრათანამედროვე მიმართულება, რომლის ამოცანაა, დაამუშაოს და გაშიფროს გენეტიკური ინფორმაცია, რომელიც კოდირებული სახით არის მოთავსებული ნებისმიერი სახის ცოცხალ არსებებში - ვირუსით დაწყებული დამთავრებული ადამიანის ორგანიზმით. გენომური ცენტრი და ბიოინფორმატიკის კვანძი გახდება საბაზო დაწესებულება როგორც ქართველი, ისე ბევრი უცხოელი მეცნიერისთვის, რომლებიც მოღვაწეობენ ბიოლოგიის, მედიცინის, ინფორმატიკის და ბევრი სხვა მიმართულებით. პირველად საქართველოში მეცნიერთა ჯგუფებს სხვადასხვა სამეცნიერო და აკადემიური დაწესებულებებიდან მიეცემათ საშუალება, კვლევები აწარმოონ დღეისათვის მსოფლიოში არსებულ ყველაზე მაღალ დონეზე. ეს კი საბოლოო ჯამში საქართველოში სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სწრაფ აღმავლობას გამოიწვევს.

აქვე ვიტყვი, რომ ცენტრთან დაკავშირებით ხშირად მოგვისმენია შეკითხვა, ჩატარდება თუ არა ამ დაწესებულებაში ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები. უნდა საზგასამით განვცხადოთ, რომ ცენტრი არ იქნება ჩართული რაიმე სახის ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებში. ლაბორატორია იქნება ინფექციურ დაავადებათა კონტროლის საერთაშორისო ლაბორატორიული ქსელის წევრი, რომლის მიზანია დაიცავს მსოფლიო მაღალი სიკვდილიანობის მავნებლის მქონე ეპიდემიური და პანდემიური დაავადებებისაგან.

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

ესაუბრა ნატო გოლძაძე

უნიკალური უსაპლბობა მედიცინის სიახლეთა ფლოისთვის

სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო, სამკურნალო, ასევე, კლინიკური საქმიანობის ეფექტურობის თანამედროვე დონეზე შესწავლის მიზნით, 2004 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრალური ლაბორატორია, რომლის დირექტორად დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დინარა კასრაძე**; 2011 წლის ოქტომბრიდან კი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრს ხელმძღვანელობს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (**ASPIH - Association for Simulated Practice in Healthcare** და **SESAM - Society in Europe for Simulation Applied to Medicine**), პროფესორი **ირმა მანჯავიძე**.

ამჟამად ცენტრში მოღვაწეობენ: **სათუნა ლომაური** - მთავარი სპეციალისტი, **პირდარა ნოზაძე** - უფროსი სპეციალისტი, **მზია ნიკლაური** - სპეციალისტი, **მანანა მამათაგირიშვილი** - სასწავლო აღჭურვილობის მეურვე-ლაბორანტი, **აკაკი სეფაშვილი** - ტექნიკური მენეჯერი; მონეული პედაგოგები: **ეკა შველაშვილი**, **ნატო მეცხვარიშვილი**, **ნათია ფხალაძე** და **დალი ჩიტაიშვილი** (გინეკოლოგები), **ნანა ჯიქიძე**, **ვასილ ბალახაშვილი**, **გრიგოლ როყვა** და **გიორგი კვიციანი** (რეანიმატოლოგები), **ილია მესხი** და **გიორგი მიქაბერიძე** (ქირურგები), **ეკა ყიფიანი** (პედიატრი), **ელენე მირზაშვილი** და **თინათინ კილასონია** (ოფთალმოლოგები), **ლია ლომიძე** და **ირინა კეკელიძე** (ოტორინოლარინგოლოგები), **ინგა კახნაშვილი** (თერაპევტი), **სალომე ვორონოვი** (რადიოლოგი).

ცენტრი აღჭურვილია უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით - თანამედროვე კომპიუტერული და უახლესი მაღალტექნოლოგიური სასწავლო აპარატურით - სამედიცინო სიმულატორებით.

უკანასკნელ პერიოდში თსუ-ის რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭორიას**, ინიციატივით და მხარდაჭერით, განხორციელდა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის აღჭურვა თანამედროვე საერთაშორისო სამედიცინო კორპორაციების - **Gaumard**, **Nasco Life/Form**, **Limb and Things**, **Laerdal**, **3B Scientific**, **Kyoto Kagaky**, **Anatomag** - ანატომიურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ თვალსაჩინოებათა წარმოების მსოფლიო ლიდერების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ნორვეგია) მიერ წარმოებული სიმულატორებით და მულაჟებით.

2011-2012 სასწავლო წლებში კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტის IV და V კურსის სტუდენტებისათვის; 2012-2013 სასწავლო წლიდან კი კლინიკური უნარ-ჩვევები შევიდა მედიცინის ფაკულტეტის ძირითად სასწავლო კურსულუმში. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება განაგრძობდა II, IV და VI კურსებზე უნარ-ჩვევების სირთულისა და სტუდენტთა ცოდნის დონის გათვალისწინებით, მარტივიდან რთულსკენ, მაღალტექნოლოგიური სიმულატორების გამოყენებით (**SimMan Essential**, **Laerdal Prod.**) ელემენტარული პროცედურებიდან (სხვადასხვა ინექცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ნაზოგასტრული ზონდირება) გადაუდებელი და რეანიმაციული პაციენტების სრული სამედიცინო შემთხვევების მართვამდე.

სტუდენტებსა და რეზიდენტებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, სასწავლო ცენტრის ბაზაზე გაიარონ საერთაშორისო სიმულაციური, რეანიმაციული, თერაპიული და ქირურგიული პრაქტიკა, თვალისა და ყურის უმზომო პათოლოგიით დაავადებულ პაციენტის პერიოდში დავებში, მაღალტექნოლოგიური სიმულატორების გამოყენებით მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბიომედიცინის და ექსტრემიტიზაციის ბაზისური უნარ-ჩვევების შესწავლა. მა-

ღალტექნოლოგიური სამედიცინო სიმულატორები საშუალებას იძლევა, შექმნას რეალურ პაციენტთან დაახლოებული კლინიკური სურათი შესაბამისი დიფერენციული დიაგნოსტიკისა და სამედიცინო ინტერვენციის ჩასატარებლად. ასე, რომ თსუ-ის სტუდენტები და რეზიდენტები საქართველოდან გაუსვლელად შეძლებენ, ჩასწვდნენ მედიცინის სიღრმეებს და არ ჩამორჩნენ თანამედროვეობას, რაც ხელს შეუწყობს მაღალპროფესიული სამედიცინო კადრების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეს.

გასულ სასწავლო წელს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში საავადმყოფოთა ქსელ - **„ჯეოპოსპიტ-**

ნარეობას. ცენტრის ე.წ. 12 სადგურში (12 ოთახი) წარმოდგენილი იყო განსხვავებული დავალება და შესრულების განსხვავებული მეთოდები, რომლის მიხედვითაც შეფასდა კანდიდატის კლინიკური უნარების ცოდნის დონე ინტერაქტიური ან არაინტერაქტიური დავალებებით; თითოეულ სადგურზე დავალების შესრულებისთვის განსაზღვრული იყო 7 წუთი, ხოლო სადგურებს შორის გადაადგილებაზე - 1 წუთი; თითოეულ სადგურში შესვლა და გამოსვლა რეგულირდებოდა ხმოვანი სიგნალის მეშვეობით. სტუდენტების შესაფასებლად გამოიყენება თანამედროვე პროტოკოლებზე დაფუძნებული ობ-



ალის“ - მიერ გამოცხადებული მედდების შესარჩევი კონკურსის საფუძველზე, ჩატარდა მედდების გამოცდები ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (ოსკი) შეფასების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციის შესრულება ფასდებოდა ფიზიკური მედიცინისა და რეანიმაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ **კახა ჭელიძის**, მიერ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით. გამოცდა ჩააბარა 1500-მდე მედდამ, ბებიქალმა, ლაბორატორიის მედდამ და მედდის ასისტენტმა საქართველოს 16 ქალაქიდან და რაიონიდან. აღნიშნული გამოცდა საქთნო კლინიკურ უნარ-ჩვევებში ზოგადი პრაქტიკის ექთნებისთვის ითვალისწინებდა მათი კვალიფიკაციის შემოწმებას სპეციალური მულაჟების დახმარებით ისეთ მანიპულაციებში, როგორცაა: ინტრავენური კათეტერიზაცია და სისტემის აწყობა, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და ნაზოგასტრული ზონდის ჩადგმა, ორსულის ვასინჯვა, ვენაპუნქცია და პაციენტისთვის თეთრეულის გამოცვლა. ზემოთ აღნიშნული გამოცდა ასევე, ჩატარდა სადაზღვეო კომპანია **„IC ჯგუფის“**-ის დაკვეთით და 400-მდე მედდამ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გაიარა შეფასება საქართველო მანიპულაციების შესრულებაში.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო გამოცდებს, ცენტრში პილოტურ რეჟიმში უკვე ჩატარდა მედიცინის ფაკულტეტის ქართული და ინგლისურენოვანი სექტორის მეხუთე კურსის სტუდენტთა მოდელირებული ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (ოსკი), რომელიც ორგანიზებული იყო ამერიკის საერთაშორისო დაფინანსების სააგენტოს მიერ დაფინანსებული **JSI-ის პროგრამა - „შენარჩევების“** - მხარდაჭერით და **ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორ ბაბილ სტრეი-ჰედერსენის**, მეთოდური დახმარებით, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა გამოცდის ორგანიზებასა და მიმდი-

ტეგრაცია იგეგმება მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სასწავლო კურსულუმში; მაგიდაზე შესაძლებელია პაციენტების სხვადასხვა სახის გამოკვლევით მიღებული მონაცემების - კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული და ულტრაბგერითი სკანირების შედეგების ჩვენება, განხილვა და ანალიზი; დამატებით, შესაძლებელია ორგანიზაციის ფოტოგამოსახულების ან თუნდაც სრული პრეზენტაციის ჩვენება, ასევე, რეალური პაციენტის გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემების სრული სხეულის რეალური ზომების ვიზუალიზაცია და აღქმა; კლინიკური განხილვის მონაწილეობა ნებისმიერ სამედიცინო შემთ-

მინარის მონაწილეების - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორების - **ირმა მანჯავიძისა და ია ავალიანის** - ინიციატივით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭორიას**, მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის მასშტაბით პირველი სატელეიტ-სიმპოზიუმის - **„სამედიცინო განათლების შესახებ“** - ჩატარება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სადაც დარგის ცნობილმა ექსპერტმა, პროფესორმა **შტეფან ლუდვიგმა** (ფილადელფიის ბავშვთა ჰოსპიტალის უფროსმა ექიმმა, პენსილვანიის უნივერსიტეტის პერელმანის სამედიცინო სკოლის პედიატრიის პროფესორმა), წაიკითხა ლექცია „ახალმოზილთა რეანიმაციის თანამედროვე მიდგომები“, ასევე, განხილეს საუნივერსიტეტო პედიატრიულ კლინიკაში არსებული სხვადასხვა სამედიცინო შემთხვევა; ამერიკულ-ავსტრიული ფონდის (AAF) სამედიცინო პროგრამების დირექტორმა, პატონმა **ვოლფგანგ აულტცკომ**, წარმოადგინა ინდივიდუალური და ინსტიტუციური მენტორინგის პრინციპების დანერგვის პერსპექტივები სამედიცინო განათლების წარმატებით განხორციელებისთვის; ერევნისა და ბაქოს სამედიცინო უნივერსიტეტების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, წარმოეგინათ სამედიცინო განათლების პრინციპები და თავისებურებანი სომხეთსა და აზერბაიჯანში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, სომხ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, საშუალება აქვს, გადახედონ სასწავლო პროგრამებს, განავითარონ სამედიცინო სწავლების სტრატეგია, სტუდენტთა მობილობის პროცესის გაადვილებისა და სამედიცინო განათლების ეფექტურობის უზრუნველყოფის სფეროებში ინტეგრაციისთვის. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი და გაეცნენ სასწავლო პროცესს. მათ მაღალი შეფასება მისცეს ცენტრში არსებული მულაჟების სასწავლო პროცესში ჩართვის გამოცდილების მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის სტუდენტებისთვის.

სრული დატვირთვით ამუშავეულ კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში მუდამ სტუდენტთა სიჭარბეა, აქ სასწავლო პროცესი შაბათ დღესაც მიმდინარეობს. კოლექტივი, პროფესორ **ირმა მანჯავიძის** ხელმძღვანელობით, ცოდნას, ენერჯისა და გამოცდილებას არ იშურებს იმისთვის, რომ მომავალმა ექიმებმა, ფარმაცევტებმა შეძლონ მედიცინის რთულ სამყაროში სწორი და სრულფასოვანი ადაპტირება; ცენტრის მაღალტექნოლოგიური სასწავლო აპარატურა - თანამედროვე სიმულატორები - ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა, მაგრამ, ამავე დროს, არსებობს პრობლემა, რაზეც გულისხმობს საუბრობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები, ეს დროის სიმცირეა, იმ დროსა, რომლის ნაკლებობასაც აქ ნამდვილად განიცდის ყველა - „ცაიტნოტში“ მყოფი პედაგოგის და სტუდენტის; საკამარის დროის ქონის შემთხვევაში, კი ალბათ უფრო სრულყოფილად მოხერხდებოდა ახალგაზრდისთვის ცოდნის გადაცემა და სტუდენტს მეტი შესაძლებლობა მიეცემოდა კიდევ უფრო დაეხვეწა არა მარტო მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული, არამედ დამატებითი სხვა კლინიკური უნარ-ჩვევებიც, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მომავალი ექიმ-სპეციალისტის სრულფასოვნად ჩამოყალიბებისთვის.

სხვადასხვა უკვე ჩატარებული ვირტუალური სამედიცინო მანიპულაციის ადგილზე და სანყის საფეხურზე დაბრუნება. მაგად წარმოადგენს დიდ კომპიუტერს, რომელზეც შესაძლებელია პაციენტის გამოკვლევების (CT, US, MRI) დეტალური განხილვა და სამედიცინო შემთხვევის განხილვა მაღალ დონეზე, რაც, რეალურად, დამამთავრებელი კურსის სტუდენტების, რეზიდენტების, უმცროსი ექიმების და ექიმების პრეპარატორების და ექიმ-ლტექნოლოგიური მონაცემები, შეწყვეტილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში არსებული სიმულატორების შესაძლებლობებთან (ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, ეკგ გადაღება, პაციენტის რეანიმაცია და სასიცოცხლო მარჩენებლების მონიტორინგი, მშობიარობის მიღება და ორსულობის დიაგნოსტიკა), იძლევა სამედიცინო შემთხვევის სრული მართვის საშუალებას (დიაგნოსტიკა, კონსილიუმ/მონაცემთა ინტერპრეტაცია, სამედიცინო მანიპულაციის შესრულება და პაციენტის სასიცოცხლო სისტემების მონიტორინგი).

სასწავლო და სამედიცინო პროცესის შემადგენელი კომპონენტია სამედიცინო შეხვედრები - კონფერენციები, სიმპოზიუმები. საქართველოში ჩატარებული **სატელეიტ-სიმპოზიუმი „სამედიცინო განათლების შესახებ“**, ორგანიზებული გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ლია სამედიცინო ინსტიტუტის (OMI), ამერიკულ-ავსტრიული ფონდის (AAF), ვილის კონსილიუმის სამედიცინო კოლეჯის, **ფილადელფიის ბავშვთა საავადმყოფოს და ფონდ - „ლია საზოგადოება - საქართველოს“** მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ ლია სამედიცინო ინსტიტუტი (OMI) სხვადასხვა ქვეყნის ექიმებისთვის ზალცბურგში (ავსტრია) სისტემატურად აწყობს **სამედიცინო სემინარებს**. აღნიშნული სემინარების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, პროგრამის ფარგლებში, მოგზაურობენ სემინარების მონაწილეთა ქვეყნებში, სადაც ატარებენ სატელეიტ-სიმპოზიუმებს და, სწორედ, ზალცბურგის სე-

იექტური შეფასების სისტემა. ზემოაღნიშნული გამოცდის შესახებ ცენტრის დირექტორის, პროფესორ **ირმა მანჯავიძის**, მიერ მოხსენდა თურქეთში (ანკარა) გამართულ კონფერენციაზე - **„სიმულატორები სამედიცინო განათლებაში“**, ოსკის-ის ტიპის გამოცდები (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) IV და VI კურსის სტუდენტებისთვის სპეციალურ გამოცდაა, რომელიც მიმდინარეობს რამდენიმე ე.წ. სადგურში, სადაც სტუდენტები როტაციული სისტემით აჩვენებენ თავიანთ შესაძლებლობებს სამედიცინო უნარ-ჩვევებში (IVკურსი - 3 სადგური: რეანიმაცია, ქირურგია, ავადმყოფის მოვლა; VI კურსი - 7 სადგური: გინეკოლოგია, ნეონატოლოგია, ოფთალმოლოგია, ოტოლოგია, ქირურგია, გულ-ფილტვის აუსკულტაცია, რეანიმაცია).

2013 წლიდან თსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში მოქმედებს **ნოვაციური ელექტიური კურსი - „სწავლა-სწავლებით“**, რომლის ფარგლებშიც, VI კურსის სტუდენტებს საშუალება აქვთ, II კურსის სტუდენტებს, ცენტრის პედაგოგების მეტოქეობაში ჩაუტარონ მეცადინეობები სხვადასხვა მიმართულებაში (მოზრდილი ავადმყოფის, ჯანსაღი და ავადმყოფი ბავშვის მოვლა, სხვადასხვა სახის ქირურგიული ნახვევის დადება, გადაუდებელ სამედიცინო დახმარება, ელექტროკარდიოგრაფიის ტექნიკა) ამჟამად კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში განთავსებულია ანატომიური სტრუქტურების და დიაგნოსტიკური ინფორმაციის განხილვის ინტერაქტიული მაგიდა, მგრძნობიარე ეკრანი, რომლის ინ-



სტყუარა და გვერდი



რედაქტორი ნინო არჩვაძე, მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

ლმომქმედო აქცია სახელწოდებით – „გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!“ სტუდენტებს საშუა-

ინო უნივერსიტეტის III სასწავლო კორპუსში „სისხლის ბანკისა“ და თსსუ-ის ორგანიზებით, ჩატარდა ჰუმანიტარული აქცია – „გაილე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე!“ უნგარო დონაციაში, სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმა მიიღო.

ჩემი პირველი გამოცდა

ცხოვრება უამრავ გამოცდას გვინყობს, დანებებული – დაბადებიდან, დამთავრებული – სიკვდილამდე. ცხოვრება დიდი მარათონია, რომლის ყოველ საფეხურზე უფრო და უფრო რთული ბარიერია აღმართული, სულ ბოლოს კი ფინიშის ხაზია, სადაც, თუ მოინდომებ, აუცილებლად მიაღწევ.



სწორედ ერთ-ერთი ასეთი ბარიერი იყო სულ ცოტა ხნის წინ გადალახული ჩემი პირველი კურსის პირველი გამოცდა. მივხვდი, რომ ცხოვრების მიზანი ადვილი მისაღწევი არ არის, სანამ ვარდამდე მიაღწევ, ჯერ ეკლები უნდა გასხივო, სანამ შენს მიზანს აისრულებ, მრავალი დაბრკოლებისა თუ გამოცდის გადალახვა მოგიწევს.

„ყველაფრის დანებება ძნელია“, – ამბობდა გოეთე, ჭეშმარიტებაა. პირველად ვარ სტუდენტის ამბლუაში და ცოტა მიჭირს ახალ გარემოსთან შეგუება, წელს გავაანალიზე, რომ ყველაფერი ადვილი უკან დარჩა და ახლა სირთულეების ხანა იწყება. წელს ჩავეხვე პირველად ცხოვრებას თვალეზში და დავინახე, რომ ადვილი არაფერია, მით უმეტეს, არ არის ადვილი, იყო ექიმი. წელს დავინახე, რომ „თუ ამ წუთისოფელს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთავსებს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადასა“ (ი.ჭავჭავაძე).

ახლა, როცა ჩემი პირველი გამოცდა წარმატებით გადავლახე, მინდა თვალი გადავავლო გამოცდამდე შთაბეჭდილებებს. სიმართლე გითხრა, როგორც მემჩნია, ისე მემჩნია, რომ ამ წუთებში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. მემჩნია, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს ვერ გავეუმკლავდებოდი და ბრძოლიდან დროზე ადრე გავვარდებოდი.

ძნელი იყო გამოცდის მოლოდინი – ლეღვა, შიში, ემოციები. ყველაფერი ეს ერთმანეთს ერწყმოდა და დიდ ქაოსს ქმნიდა, საიდანაც ერთადერთი გამოსავალი საკუთარი თავის ხელში აყვანა და დამშვიდება იყო. მეც ასე მოვიქეცი და დავინწყე იმის გაანალიზება თუ რა მელოდა წინ. როდესაც მივხვდი, რომ საქმე არც ისე იოლად იყო, მაშინვე დავინწყე ქმედება, რათა ადვილად გავმკლავებოდი გამოცდებს. ძალასა და ღონეს არ ვიშორებდი იმისთვის, რომ, უპირველესად, საკუთარი თავისთვის მეჩვენებინა ჩემი შესაძლებლობები და მერე სხვები დამერწმუნებინა ამაში.

ადვილად არაფერს ვუყურებ ცხოვრებაში, ყველაზე პრიმიტიუ-

ლსაც კი. მემჩნია, შემდეგ იმაზე ძნელ სიტუაციაში არ აღმოვჩნდე, ვიდრე ველოდი. სიმართლე გითხრა, ეს გამოცდაც ძალიან რთული და ძნელად გადასალახი მეგონა, მაგრამ არც ისეთი საშინელება ყოფილა, როგორც წარმომეგონა.

რა თქმა უნდა, ძნელია ყველა საგანი ერთდროულად იმეცადინო და თან ისე მოამზადო, რომ არაფრის გემჩინოდეს, მაგრამ ამაზე უფრო ძნელი საკუთარი თავის მოხიზება და მთელი ძალებით საქმისკენ შემობრუნებაა. მეამაყება, რომ მე ეს შევძელი და ამდენ გამოცდას იმედის თვალით შევხედე, არ შევშინდი და შედეგითაც კმაყოფილი ვარ.

ვთვლი, რომ ამ გამოცდამ ბევრი რამ მასწავლა და დამანახა, რომ თუ სტარტის ხაზიდან სწრაფად არ მოსხლტდი, ფინიშამდე ვერ მიაღწევ და თუ ერთი ბარიერიც ვერ გადალახე, მარათონის სხვა მონაწილენი წამოგეწევიან და შეეგდებათ. ამ გამოცდამ მაჩვენა საკუთარი შესაძლებლობები და მიმახვედრა, რომ თუ გულით მოინდომებ, მიუღწეველი არაფერია.

ვიმედოვნებ, პირველი გამოცდა პატარა ნაპერწკალი იქნება იმ დიდი ცეცხლის დასანთებად, რომელიც შემდეგ მრავალი პაციენტის გულს გაათბობს.

კოკა გოგიჩაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყოველწლიურად საქართველოში 0-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებში ლეიკემიის 40 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ძირითადად, ბავშვების მკურნალობისთვის ქიმიოთერაპიის რამდენიმე კურსია საჭირო. პაციენტთა კლინიკაში დაყოვნების პერიოდი 9 თვეს მოიცავს. ქიმიოთერაპიის კურსის შემდგომ, თითქმის ყველა შემთხვევაში, საჭირო ხდება სისხლის გადასხმა.

სამედიცინო უნივერსიტეტში არაერთხელ ჩატარებულა საქვე-



ება ეძლევათ, უანგაროდ გაიღონ სისხლი.

7 მარტს, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად თბილისის სახელმწიფო სამედიც-



მომავალი ექიმები კი მუდამ მზად ვართ დახმარება გავუწიოთ მათ, ვისაც ჩვენი მხარში დგომა ნამდვილად სჭირდება.

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“



ლექტურული განვითარების ცენტრის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით, ჩატარდა ინტელექტუალური თამაში, სახელწოდებით – „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“.

თამაში მონაწილეობდნენ: თსსუ-ის გუნდი „უვერცხლონი“, საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გუნდი – „ალილო“ და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის გუნდი – „საფარა“.

ყოფრის შემადგენლობაში იყვნენ: თავმჯდომარე – მეუფე სტეფანე (კალაიჯიშვილი), თსსუ-ის ვიცე რექტორი დავით ჭავჭავაძე და საპატრიარქოს ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი. აღნიშნულ ტურში გამარჯვება მოიპოვა გუნდმა „ალილო“, ფინალურ ტურში კი მას თსსუ-ის გუნდი შეხვედრა და გამარჯვებული გუნდის წევრები კაბადოკიაში გაემგზავრებიან.

მსგავსი ღონისძიებები ახალგაზრდა თაობის განათლებას და სულიერ ამბლუებას ემსახურება და ვიმედოვნებთ, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან საპატრიარქოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

ევთანაზია

„არაფერია საზიარო ნათელსა და ბნელს შორის“

ევთანაზია უკურნებელი სენით დაავადებული და ტკივილებისაგან გატანჯული ადამიანის უმტკივნეულოდ მოკვდინების აქტია და სიტყვა-სიტყვით „მშვიდ, ბედნიერ და უმტკივნეულო სიკვდილს“ ნიშნავს. ეს მიიღწევა მედპერსონალის, ან სხვა დაინტერესებული პირების მიერ სხვადასხვა ქმედებით (მაგალითად, ნარკოტიკების მაღალი დოზის ინექციით, ხელოვნური სუნთქვის აპარატის გამორთვით კვების წყაროსგან და ა.შ.), ანდა უმოქმედობით (დაავადების მიმდინარეობაში ჩაურევლობა). ევთანაზიის უფლება დღეს მსოფლიო დისკუსიის საგანია, ვინაიდან ეს ერთ-ერთი ყველაზე საკამათო სამედიცინო, რელიგიური, პოლიტიკური, თუ ეთიკური ხასიათის საკითხია. ევთანაზიის პრაქტიკა ფართოდ და დანერგილი სკანდინავიის ქვეყნებში და ნახალისებულაია სახელმწიფოსაგან; ზოგ ქვეყანაში ევთანაზიის შესაძლებლობის თითოეულ შემთხვევას სასამართლო განიხილავს და ვასცემს (ან არ ვასცემს) შესაბამის ნებართვას. ბევრ ქვეყანაში იგი კანონმდებლობითაა აკრძალული, ზოგან კი საერთოდ არ არსებობს ამ საკითხის დამარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

წყარო: ადამიანის უფლებათა ლეჟისლაციონი

ევთანაზია ეთიკის საგანია, ალნიშნავენ საზოგადოებაში. მე კი ვთვლი, რომ ევთანაზიასთან ამ სიტყვის ხსენება არაეთიკურია, რადგან, როგორც მაცხოვარი გვასწავლის, „არაფერია საზიარო ნათელსა და ბნელს შორის“. ევთანაზიის ბერძნული თარგმანი ასე უდერს – „კარგი სიკვდილი“, ხოლო ჩვენი ქრისტიანული ღრმა რწმენით, ას-



„ტკბილი სიკვდილი?“

ეთ „კარგ სიკვდილს“ („ცუდი უკვდავება“ მოჰყვება ჯოჯოხეთში. ევთანაზიის მომხრეები არა იმდენად ათეისტები არიან, რამდენადაც სატანისტები. ის, ვინც თვითმკვლელობის მოსურნეს ეხმარება ამ სასიკვდილო ცოდვის ჩადენაში, სხვა არა არ-

ის, თუ არა კაცის მკვლეელი. ამ შემთხვევაში ექიმი ორ ცოდვას ჩადის: ერთი, რომ ღალატობს ჰიპოკრატეს ფიცს, რომელიც ამბობს: „არ მისცე არცერთ მთხოვნელს მომაკვდინებელი საშუალება და არცა გზა ვასწავლო ასეთი ზრახვის შესრ-

ულებისა: ასევე, არ მისცე მათ მომაკვდინებელი „პესარიუმი“ და, მეორე მხრივ, ცოდვას ღმერთისა და ადამიანური ღირსების წინაშე. ექიმი კაცის გადამრჩენელი უნდა იყოს და არა – პირიქით, – მკვლეელი. თუ პაციენტი იტანჯება, ალბათ ასეა საჭირო, ღმერთმა უკეთ იცის – ტანჯოს თუ სიცოცხლე შეუნყვიტოს მას. ვინ მოგვცა უფლება, სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანოთ ადამიანს. ვილაცას თუ მაინც სურს თვითმკვლელობით დაასრულოს სიცოცხლე, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ რატომ უნდა დააკანონოს მისი ასეთი ახირებული სურვილი, მით უფრო, ეს უმძიმესი ცოდვა ექიმის ხელით აღასრულოს, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ იარაღია თვითმკვლელის ხელში. როდესაც ადამიანს ესმის თუ

რატომ იტანჯება ავადმყოფობით და იგი ცდილობს აიტანოს თავისი ცოდვებით მოვლენილი განსაცდელი, ამით მას, აქვე, მინახევე, უმსუბუქდება ცოდვები. აქედან გამომდინარე, ევთანაზია სატანის მსახურებაა, რომელიც საბოლოოდ უსპობს ავადმყოფს სინანულისა და ცხოვნების საშუალებას.

მიმაჩნია, რომ ევთანაზია ექიმის ხელით ჩადენილი მიუტევებელი ცოდვაა.

ბოდიშს ვიხდი, ესოდენ ემოციური მსჯელობისთვის და საპირისპირო აზრის მქონეთა გალიზიანებისთვის, მაგრამ, როგორც დავით გურამიშვილი იტყვოდა: „მე კი ვმალავ, მაგრამ ჩემი სატიკვარი არა მაღაფს“. მიმაჩნია, რომ არ შეიძლება მხარი დაუჭირო, უფრო მეტიც, ჩაიდინო საქციელი, რასაც ევთანაზია ჰქვია.

კოკა გოგიჩაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

ექიმის პორტრეტი

მომწონს ჩემი ცხოვრების ყოველი დღე...

ქათივან ნატამლაძე უნგრეთში დაიბადა...

თუ „მშრალ“ ბიოგრაფიულ მონაცემებს მივყვებით:

თბილისის 62-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ერთი საგამოცდო საგნის „ფრიაღზე“ ჩაბარებით ჩაირიცხა... ინსტიტუტი წარჩინებით დაასრულა, შემდეგ – კლინიკური ორდინატურა თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ენდოკრინოლოგიის მიმართულებით გაიარა.

ასეთი წარმატებული დასაწყისი ჰქონდა მის არჩევანს...

ამჟამად მედიცინის დოქტორი ქეთევან ნატამლაძე

ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ამბულატორიის ექიმი ენდოკრინოლოგია, მუშაობს ენდოკრინოლოგიურ პათოლოგიით დაავადებულ ისეთ პაციენტებთან, როგორცაა: ფარისებრი ჯირკვლის, თირკმლის ზედა ჯირკვლის დაავადებები, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტი... მას მრავალნაირ ადამიანთან უწევს ურთიერთობა და თვლის, როგორც სამყაროში ორი ერთნაირი ადამიანის ფსიქოტიპი არ არსებობს, ისეა მედიცინაშიც. დაავადებულთა ჯანმრთელობაც ინდივიდიდან გამომდინარე სხვადასხვანაირად მიმდინარეობს და ამას, ექიმის მკურნალობასთან, ერთად გადამწყვეტ ფაქტორად პაციენტის ოპტიმიზმს მიიჩნევს.

ენდოკრინოლოგია, როგორც მედიცინის არაერთი დარგი, ექიმისაგან საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს, რადგანაც ქრონიკულად მიმდინარე დაავადებების მქონეთ მუდმივად ესაჭიროებათ ექიმის კონტროლი, კონსულტაცია, რჩევა.

მაგალითისთვის თუ ავიღებთ შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზს, არც თუ შორეულ წარსულში იგი სასიკვდილო განაჩენად ითვლებოდა, ახლა მის მკურნალობაში არაერთი სიახლეა. ექიმის რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, შაქრიანი დიაბეტის (ტიპი-2-ის) მქონე პაციენტების მკურნალობის ეფექტურობის 70% დამოკიდებულია თვით პაციენტის ნებელობაზე. სკანდინავიის ქვეყნებში ამ ტიპის პაციენტები ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხოვრების განსაკუთრებული წესის მქონე პირებად მოიაზრებიან.

მნიშვნელოვანი შედეგათი იყო დაავადებულთა ამ ჯგუფისთვის უფასო სახელმწიფო პროგრამა სტაციონარული მოკლევადიანი

მრავალთა პროფესიული არჩევანი ხშირად ოჯახურ გარემოს გადაწყვეტია. ამ შემთხვევაშიც ასე იყო... მამა სამხედრო ექიმად მსახურობდა, ოჯახი ქვეყნიდან ქვეყანაში, ძალაქიდან ძალაქში მოგზაურობდა და მასაც მამის პროფესია მოსწონდა, სხვა პროფესიაზე არც უფიქრია...

მკურნალობით, რომელიც ამჟამად შეწყვეტილია (მიმდინარეობს მუშაობა მის აღსადგენად), მათი დიგნოსტიკა და მკურნალობა მთლიანად გადაანაცვლებულია ამბულატორია-პოლიკლინიკებში და შესაბამისი პროფილის საავადმყოფოების ენდოკრინოლოგებზე. მაგრამ ამ დარგის სპეციფიურობას, ორგანიზმში მიმდინარე ქრონიკულ პროცესებს თან ახლავს მრავალნაირი თანმდევი გართულებები, რომელიც პაციენტს ხშირად გადაადგილებას უზღუდავს, იგი ვერ მიდის ექიმთან – სტაციონარული უფასო მკურნალობა დიდი შეღავათია ასეთათვის და არამარტო მათთვის...

რაც შეეხება პაციენტებთან დამოკიდებულებას, ქალბატონი ქეთევანი აღნიშნავს: „მე მიყვარს არჩეული პროფესია, მომწონს ჩემი ცხოვრების ყოველი დღე და მიხარია, რომ შემიძლია ამით შევბამოვტანო ადამიანებს, მათ კონტროლი, ყურადღება, მუდმივი კავშირი ესაჭიროებათ ენდოკრინოლოგთან, რადგან პაციენტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი ინსულინდამოკიდებულია. ისინი დღე-ღამის ნებისმიერ დროს... მიკავშირდებიან რჩევებისთვის, ვემგობრობთ, ზოგჯერ შვილებს და შვილიშვილებსაც მანათვლინებენ,“ – ღიმილით დასძენს...

და მართლაც, თვალს თუ გადავავლებთ მის საექიმო მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ წარმატება სამეცნიერო კვლევაში თუ კლინიკაში, პაციენტებთან გულმოდგინე შრომის, ძიების შედეგად მოდის...

...არაერთი ცხოვრებისეული ფრაგმენტი წარუშლელად ილექება ადამიანის ცნობიერებაში...

პაციენტის ცნობიერებას კლინიკური საქმიანობის დასაწყისს, ანგარდაცვლილ პედაგოგებს, პროფესორებს: თამარ დევანოსიძეს, ივზირა ანდელუაძეს, ოქროპირ გოგიბერიძეს...

ერთ შემთხვევას განსაკუთრე-



ბით აღნიშნავს: „ახალბედა ვიყავი, კათედრის გამგის, პროფესორ დივი ვირსალაძის ძალიან მეკრძალებოდა... საღისერტაციო თემა ენდოკრინოლოგიურ გინეკოლოგიას შეეხებოდა (ხელმძღვანელები: პროფესორი არჩილ ხომასურიძე, ანგარდაცვლილი ედვარდ გვინბერგი). მას ჩემი ნაშრომი მიუტანე, მეგონა ამ სფეროში ნაკლებად ერკვეოდა, ჩემდა გასაოცრად, ბატონმა დავითმა მასში აუცილებელი შენიშვნები და ჩასწორებები შეიტანა. იგი პროფესიონალი, ღრმად განსწავლული პირი ვინცაა არა მარტო მედიცინაში...

პიპოფიზი, რომელიც ენდოკრინოლოგიის თავიდათავია, მჭიდროდაა მიერთებული ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან და მიდინარე ენდოკრინოლოგიური პროცესები თუ დარღვევები იქედან იმართება; პროფესორი დავით ვირსალაძე აღნიშნავს: „თუ ენდოკრინოლოგიის გაერთიანება რომელიმე დარგთან მოიაზრება, ეს თერაპია კი არა, ნევროლოგია უნდა იყოს“. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ენდოკრინოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებასა და მათ მიმართ, ვინც ამ დარგში ვმუშაობთ.

ჩვენი მისული სტუდენტები, რეზიდენტები, ასპირანტები თანამედროვე შეხედულებებით, გამორჩეული აზროვნებით, უცხო ენების ცოდნით, ინფორმაციულობის სისრულით, საკითხისადმი ღრმა წვდომით გამოირჩევიან. სრულფასოვან ექიმად ჩამოყალიბება გულისხმობს მუშაობას, სიახლეების გაცნობასა და შესწავლას, დროის შესატყვისი ნაბიჯებით სვლას, რაც უმრავლესობაში შეინიშნება, გვი-

ხარია, რადგან მომავალი მათია...

„ექიმის პროფესია მარტო წარმატებები როდია, მქონია მძიმე წუთებიც... – ამბობს ჩემი რესპონდენტი, როგორც სხვა მრავალს, ამ პროფესიის უმთავრეს ამოსავლად ადამიანის სიყვარული მიმაჩნია... პაციენტი უბასუხისმგებლობასა და გულგრილდამოკიდებულებას არ გაპატიებს. არაერთი მაგალითია იმისა, რომ ცნობილი ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზს და მკურნალობას სასურველი შედეგი არ მოუტანია არც ერთმა...“

გონებაში სულ მიწვეთავს მამის დარიგება: „ცნობილი ექიმიც რომ გახდეს, არასოდეს მიიღო ხუთ პაციენტზე მეტი. მეექვსე – მეორე დღეს, დასვენებულ გონებაზე დაიბარე. თუ ემოციას ხარჯავ, პაციენტს სცემ პროფესიას და ადამიანს, მათი მიღება შენთვის „კონვეირული“ არ უნდა გახდეს. სწორი დიაგნოზი სწორად წარმართული მკურნალობის საფუძველია. თუ მას ასცდი, საექიმო შეცდომები გარდაუვალია: ზიანდება პაციენტი, რწმენა გეკარგება საკუთარ შესაძლებლობებში, რამაც შეიძლება არჩეული პროფესიაც დაგათმობინოს. კარგი იქნება თუ ჩემს რჩევებს სამომავლოდ გაითვალისწინებ“, – არასდროს დავიწყებია ქალბატონ ქეთევან ნატამლაძეს მამის, ცნობილი ექიმის, საჭირო შეგონება.

გულისტკივილით იხსენებს ერთ შემთხვევას: – კლინიკაში ახალმისული განაცვიფრა სანიტრის უსულგულობამ, რომელიც საქმის გათვალისწინებით, გარეშეთა მალულად, ხის კალათაში განთავსებული ჭურჭლებიდან ლაბორატორიული კვლევისთვის განკუთვნილ ე. წ. „ზიმნიკის“ შარდს სანახევროდ ღვრიდა, მაშინ როდესაც მისი რაოდენობით ხვედრითი წონა იზომებოდა, ამით დგიონდებოდა დიაგნოზი და ინიშნებოდა მკურნალობა... როდესაც საქციელზე მიუთითე, მისგან „სხვის საქმეში ჩაურევლობის“ რჩევა მივიღე... ეს უსულგულო, უპატივცემულო დამოკიდებულება იყო

მინდობილი საქმისადმი, და ზოგადად – ადამიანის მიმართ დანაშაული, რადგანაც მისი ბრიყვეული საქციელით მაშინ, ათეული პაციენტი დაზიანდა... მიმაჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულებებში ადამიანის სამუშაოდ მიღება, (დაბალი და საშუალო პერსონალიდან დაწყებული) ფსიქო-ტესტირების გავლით, ან შერჩევის ოპტიმალური პრინციპით უნდა განისაზღვრობოდეს, თითოეული იქ მომუშავეს კეთილსინდისიერებაზე, პასუხისმგებლობაზე დამოკიდებულება ადამიანთა ჯანმრთელობა, ექიმამდე მისასვლელ გზაზე პაციენტს პატივისცემა, თანაგრძნობა უნდა დახედეს, რომ მკურნალობამ შედეგი გამოიღოს და დარჩეს სურვილიც – ადამიანმა საჭიროების შემთხვევაში ისევ მიაკითხოს სამედიცინო მომსახურების იგივე სერვისს.

„ენდოკრინოლოგია, მედიცინის საინტერესო დარგია. მან საშუალება მომცა: კლინიკური საქმიანობის, სამეცნიერო მუშაობის (20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია), მონაწილე ვყოფილიყავი საზღვარგარეთ არაერთი საერთაშორისო ფორუმისა, რომელიც კარგი შესაძლებლობაა გამოცდილების გაზიარების, კვლევის ახალი მეთოდების გაცნობის, ურთიერთთანამშრომლობის“.

ქალბატონ ქეთევან ნატამლაძის – ცხოვრების ძირითადი საყრდენი პროფესია და შვილი – ნიკოლოზ ჩიხელია, უყვარს პაციენტები, ზოგადად ადამიანი, აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელად და ლიდერად ყოფნა არ შეუძლია, არა იმიტომ, რომ პასუხისმგებლობას გაურბის, არამედ ადამიანის გულსტკეპნას ერიდება ხმა-მალა გაცხადებული საყვედურით, რასაც ერთგვარ ნაკლად თვლის... თუმცა მის „ნაკლში“ ღირსება დავინახე, ეს თვისება მის დიდსულოვნებაზე, ზნეკეთილობაზე მიუთითებს... მენიშნა ექიმის საქმიანობის ერთ-ერთი თეზაც – „არ ავნო“. ესეც რომ არა, სხვანაირად ვერც წარმოვიდგენდი სიკეთით მოსილ, მომღიპარ, მიზანდასახულ ქალბატონს, პროფესიონალ ენდოკრინოლოგს, მედიცინის დოქტორს, ქეთევან ნატამლაძეს...

გაზაფხულს გილოცავთ, ქალბატონო ქეთევან! თქვენს სულში სულ ჟღერდეს მუსიკა, რომელიც აგრერიგად გიყვართ!

მანანა ფხალაძე

მედიცინის სიახლეები

(დასაწყ. მე-5 გვ-ზე)

მედიცინა მუდმივად განახლებადი და განვითარებადი სფეროა. XXI საუკუნე ნამდვილად უდიდესი მიღწევების ხანაა და მეცნიერები კვლავ განაგრძობენ კვლევებს სიახლეების აღმოსაჩენად. სწორედ ამას ემსახურება ბრიტანელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევა სიმსივნის მკურნალობის ახალ მეთოდებზე. ვირუსი, რომელიც ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს, ხოლო ჯანმრთელ ქსოვილებს უვნებლად ტოვებს, ორგანიზმში ტრანსპორტირდება ერთობლივად. ბრიტანეთის „ლიდისის კიბოს ინსტიტუტის“ მეცნიერები თვლიან, რომ ეს საფუძვლად დაედება

სიმსივნის მკურნალობის ახალ მეთოდს.

ვირუსი წარმოადგენს რეოვირუსს, რომელიც არ ავნებს ადამიანს. კვლევის ფარგლებში აღმოაჩინეს ვირუსის თავისებურება, იგი ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს, ხოლო გარშემო ჯანმრთელი უჯრედები უცვლელი რჩება.

ცხოველებში ჩატარებული ექსპერიმენტის დროს გამოვლინდა, რომ ვირუსი სისხლიდან სიმსივნურ უჯრედებამდე ვერ მიაღწევს, რადგან მას იმუნური სისტემა ანადგურებს, შესაბამისად, იგი ორგანიზმში შეყვანილი უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც დათრგუნება იმუნური სისტემა. თუ-

სტყავი ენცაფალი გვერეთი

მცა, ექსპერიმენტში, რომელშიც ათასობით მოხალისე მონაწილეობდა, გაირკვა, რომ სისხლში ვირუსის იმუნური უჯრედები არ ანადგურებენ. ექსპერიმენტში მონაწილეებს ჰქონდათ ნაწლავის კიბო, რომელიც ღვიძლზე იყო შეზრდილი. დაგეგმილ ოპერაციამდე მათ შეუყვანეს აღნიშნული ვირუსი. ოპერაციის შემდეგ ვირუსი აღმოაჩინეს სიმსივნურ უბანში, ხოლო ღვიძლის ჯანმრთელ ქსოვილში იგი არ აღმოჩნდა. სისხლში იმუნურ უჯრედებს მან ერთობლივად შეღწევით დააღწია თავი. თუ რატომ ანადგურებს ვირუსი მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებს, მეცნიერებისთვის ჯერ-ჯერობით უცნობია.

ოთო ნადარია

მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

გარე(ს) ჯა

ვლემართ ვულები, რომ დავიწყებულა, ვუკავრთ ვორჯასლის დანატოვრებს? მიწას, ბურბი რომ ვამიკლიტეს, დღეს მე წყმი სუღით ვანათოვრებ.

სიტკეუთ ვოთუღი ვარ ივრისი, საქმით ვორასოდეს ვანატკოცე, მიწა, შაპ-აპას რომ ივრთებს, დღეს მე უყოფხოდ ვვანსესე.

ცუქლდი ჩინიტირში წამოვანთე, მაცნელ მტრის ღაქქარი თაჟს დავსხმია,

მიწა ვწმობებს ცრემლად ამოანთხეეს, მტერმა იარად რომ დავამხნია.


სუჯა სისხლისფერი გვიღრსებია, რადაც უიმედოს მომლოდინელად მიწას, ბურბი რომ მისუენია. ვუღარ ვეკარები მომლოცველად.

აღბათ ვმძაუკი დანამღვედნენ, ქართულს არასოდეს ვანაზრებს. მიწას მუქითაც რომ არ მძღვედნენ, იქით ვუღლას ურმით ვავატანე.

მუღრამ, სანამ ძალა ვრისი მღაჟებს, ქართულს, ვინც მტერს მუღამ მუღარს

აულებდა მიწას, თითოეულ ვოჯს და მტკაუვლს, ვეღლა დავუღებთ უმუჯებად.

რუბრიკას უძღვება პროფესორი ვალიო საპაპაძე



რეპეზ კვირ-ი ე ნ ხ ი ლ ა ძ ე . პრომის ჰიგიენა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. თბილისი: - 2013. - 676 გვ., 69 ცხრილი, 58 სურათი, 63 დანართი.

სახელმძღვანელო წინათქმამი ავტორის მიერ განმარტებული სახელმძღვანელო გამოცემის აუცილებლობა. კერძოდ, საზოგადოების განვითარების თანამედროვე პერიოდი ხასიათდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით, ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და სანარმოო აღჭურვილობის დანერგვით, ეროვნული მეურნეობის სრულიად ახალი დარგების განვითარებით. ამ გარემოებამ გამოიწვია პრინციპულად განსხვავებული პრომის ჰიგიენის ფორმირება, რაც პროფილაქტიკური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტისაგან სათანადო ცოდნას მოითხოვს.

სახელმძღვანელოს 28 თავში თანმიმდევრულად გადმოცემულია პრომის ჰიგიენის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ზოგადი და კერძო ნაწილების თეორიული საკითხები და პრაქტიკული ნაწილი. განხილულია პროფესიულ მავნებლათა ძირითადი სახეები, მათი ფორმირების განმსაზღვრელი პირობები და როლი დასაცემული მოსახლეობის ორგანიზმის ფუნქციური და ჯანმრთელობის მდგომარეობის ჩამოყალიბებაში; მოცემულია ძირითად პროფესიულ ფაქტორთა შესწავლისა და შეფასების მეთოდები, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავების საფუძვლები.

სახელმძღვანელოში პირველად, პრინციპულად ახლებურად, კომპლექსურადაა გადმოცემული პრომის ჰიგიენის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რაც, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირს, უფრო საფუძვლად აითვისოს დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. 2005 წელს გამოცემული თეორიული კურსისა და 2009-2011 წლებში გამოცემული პრაქტიკული კურსის სახელმძღვანელოებით მუშაობის გამოცდილებამ ავტორი დაარწმუნა სახელმძღვანელოს სტრუქტურის ამგვარი სქემით ავების უპირატესობაში.

სახელმძღვანელოს წინამდებარე გამოცემაში, პირველად, განხილულია პრომის ჰიგიენის საკითხები თანამედროვე ტექნოლოგიებში (ნანოტექნოლოგია და კომპიუტერული ტექნოლოგია).

სახელმძღვანელოს თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილია განხილული მასალის ათვისების ხარისხის მაკონტროლებელი სიტუაციური ამოცანები და ტესტები, დასკვნით ნაწილში კი მოცემულია პასუხები ტესტებზე.

სახელმძღვანელოში გადმოცემული შესასწავლი საკითხების დაინტერესებული პირის მიერ გადამამუშავებული შესწავლისათვის სახელმძღვანელოს დასკვნით ნაწილში მითითებულია დამატებითი ლიტერატურის ძირითადი წყაროები, რომელიც 27 პოზიციას მოიცავს. მათგან 11 წყარო უკანასკნელი ათწლეულის მანძილზეა გამოქვეყნებული.

სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია უკანასკნელ ათწლეულში პრომის მედიცინისა და უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში მომხდარი თვისობრივი ცვლილებები.

სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოში მოქმედი პრომის ჰიგიენის სასწავლო პროგრამის შესაბამისად და განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების, ჰიგიენის პროფილის სპეციალისტებისთვის და, გარკვეულწილად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის, სხვა სფეროში მომუშავე ექიმებისთვის, დასაქმებული მოსახლეობის პრომის პირობების შესწავლით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

მამულიზვილით ვალმოხდილი

მისი დაბადების თარიღი, ავადსახსენებელი 1937 წელი, ალბათ სიმბოლურია მის მიერ განვლილი ცხოვრების გზისა...

მაშინ კი, როცა მოულოდნელად, ჩუმად, „ტკბილი სიკვდილით“ განერიდა ამქვეყნიურ სანუთროს, 2012 წლის აგვისტო იდგა... არდადეგების გამო სიჩუმე სუფევდა სამედიცინო უნივერსიტეტში და ამიტომ ვერ მოხერხდა ჩვენი გაზეთის საშუალებით გვეთქვა სათქმელი პროფესორ გედი გელბახიანზე, რომლის დამსახურება დიდზე დიდია სამედიცინო უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტების, პაციენტებისა და, განსაკუთრებით, ქვეყნის წინაშე.

2012 წლის აგვისტოში, გაზეთ „ქრონიკაში“ მისი თანამებრძოლები, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, იუწყებოდნენ: „სამძიმარს ვუცხადებთ გედი გელბახიანის ოჯახს და სრულიად საქართველოს ღირსეული მამულიზვილის, ეროვნული ხელისუფლების და ბატონი ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლის, ყოფილი პოლიტპატიმრის, საზოგადო მოღვაწის და ცნობილი მეცნიერის, სამშობლოსთვის ნამებული რაინდის, გედი გელბახიანის, გარდაცვალების გამო“.

ბედნიერია ადამიანი, რომლის მიმართაც ასეთი მრავლისმთქმელი და ბევრისდამტყევი სიტყვები ითქმევა და განსაკუთრებით ხაზგასმულია იმ ღირსების შესახებ, რაც თანამდგევი იყო პროფესორ გედი გელბახიანის პიროვნებისთვის. თუმცა, მეტი სიცხადისთვის, დავინწყებთ იქიდან, რომ ბატონი გედი ნამდვილად არ დაბადებულა ქუდბედიანი, თუ არ ჩავთვლით საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი ოჯახის წევრად მის მოვლინებას. მაგრამ, სწორედ, ამ ოჯახის თავკაცი იქცა მისი ტრაგიზმის მთავარ მიზეზად, რადგან ქვეყნის მაშინდელი პირველი პირის მიმართ, გედის მამის, პროფესორ პეტრე გელბახიანის, სამართლიანმა შეპასუხებამ, შურისძიების გრძნობით ალავსო პირველი კაცი... ჯერ ოჯახის თავს არ აპატია „ურჩობა“ და ციხეში გაამწყვია, შემდეგ მის შთამომავლებს – შვილს, შვილიშვილს, სამშობლოსადმი კერპად ქცეული სიყვარული და თავდადება...

სკოლაში თვალსაჩინო გედი გელბახიანის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩარიცხვა და სანიმუშო სტუდენტობა ნამდვილად არ იყო განპირობებული მამის რექტორობით, ამაზე ბატონი გედის ჯგუფობით ალნიშნავდნენ, რომ მას სავსებით არ ეტყობოდა რექტორის შვილობა, უბრალო, კომუნიკაბელური, თავმდაბალი და კეთილი იყო. მისი კეთილშობილების, ადამიანთა მიმართ სიყვარულისა და თანადგომის მავალითა თუნდაც ის, რომ, სტალინური სტიპენდიის მფლობელს, ერთხელაც არ აუღია იგი, რადგან ურიცხვად უპატრონო ბავშვთა სახლში აღზრდილ, გაჭირვებულ სტუდენტს.

1961 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ორი წელი იმუშავა ექიმ-თერაპევტად ქ. ვაგრის რაიონულ საავადმყოფოში, 1963 წელს კი პროფესიული საქმიანობა გააგრძელა მშობლიური ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდგომში – ასისტენტად და დო-

ცენტად. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1972 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1986 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, ბატონ გედი გელბახიანს მიანიჭა პროფესორის წოდება და ერთი წლის შემდეგ აირჩია შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ. მისი ძალისხმევით კათედრაზე შეიქმნა ზოგადი პროფილის დიაგნოსტიკური ლაბორატორია, რომელიც შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა დიაგნოსტიკურ ცენტრად, სადაც დაინერგა მრავალი დიაგნოსტიკური მეთოდი, რომელთა უმრავლესობა დღესაც აქტიურად გამოიყენება კლინიკურ მედიცინაში, განსაკუთრებით – სისხლისა და შარდის ოსმოლარობის და ელექტროლიტების საერთო რაოდენობის განსაზღვრისთვის შექმნილი მეთოდი შესაბამისი ხელსაწყოთი. მაგრამ ჩასაფრებულმა უღმობელმა ბედისწერამ მისი მეცნიერული, პედაგოგიური თუ პროფესიული წინსვლა დაამუხრუჭა, რისი მიზეზიც გახდა ერთგული თანადგომი ეროვნული ხელისუფლებისადმი, უზომო სიყვარული სამშობლოსადმი...

1992 წელი... საქართველოს მოსახლეობის დიდი უმეტესობის ნების ჩახშობა, ეროვნული ხელისუფლების დამხობა და მისი იდეების გამტარებელთა მასიური დაპატიმრება ქვეყნის მოლაღატეთა სტატუსით, რომელთა შორის აღმოჩნდა პროფესორი გედი გელბახიანი შვილთან – პეტრესთან ერთად.

ბატონი გედის 13 წლით ალექვეთა თავისუფლება... 7 წელი დაჰყო ციხის კედლებში, 7 გაუსაძლისი წელი... „მძიმე ცხოვრების გზა გავიარე“, – თავად აღნიშნავს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში. ყველაზე ძნელ პერიოდად 1992-94 წლებს ასახელებდა, როცა სრული განუკითხაობა სუფევდა საგამოძიებო ორგანოებში; პოლიციაში, ციხეში, უშიშროების ჯურღმულებში ხოცვა-ჟლეტა იყო გაჩაღებული. ამ წლებში, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ფიზიკურად და სულიერად დასახიჩრდა, რომელთა შორის თავადაც იყო, დაუნდობელი ცემისგან ცალი თვალი და ყური დაუზიანდა, სული დაუსხიჩრდა, მაინც ვერ გატყუეს, ვერ შეურყიეს პრინციპი, ვერ აყარეს პატივი და ვერ ათქმევინეს აუგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიანზე... მან იცოდა, რომ დაპატიმრებდნენ, მაგრამ, მიუხედავად შესაძლებლობისა, არ დატოვა სამშობლო, რადგან განსივრთვადიანი შტაბის ემიგრანტების ბედი, ამას ვერ გაუძლებდა, ამიტომაც არჩია თავისი ქვეყნის ციხეში ყოფნა...

ის, რაც ყველაზე მეტად ენატრებოდა პატიმრადყოფს, საყვარელ სტუდენტებთან ურთიერთობა, თავისი ლაბორატორია, სამეცნიერო მუშაობა იყო, ედარდებოდა პაციენტები... ვერაფრით დააჩოქეს, ვერც მაშინ, როცა ბატონი გედის ერთადერთ ძეს – პეტრე გელბახიანს, „სამშობლოს ღალატისა და

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ყაჩაღური დაჯგუფების წევრობისთვის“ (?) დახვრეტა მიუსაჯეს... ეს კი, მართლაც, გაუგონარი დაცინვა იყო ბედისა... ვერავინ ვერაფერს გაანწყობდა მტარვალ „ხელისუფალთა“ წინაშე... მამა-შვილმა ერთმანეთის გამხნევებით, გასაღებდევებით და პრინციპულობით თავად „იძია შური“ სულთამხუთავეზე... ბატონ გედის მხნეობას და გამძლეობას უორმაგებდა ის, რომ როგორც თვითონ, პეტრეც საკუთარი პრინციპებისა და პირველი პრეზიდენტის იდეების შეუვალი ერთგული აღმოჩნდა. სამშობლოსთვის ნამებული მამა-შვილი ღმერთმა არ გასწირა... საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩარევისა და მათი საქმეების ხელახალი გადასინჯვის შემდეგ ჯერ მამის, მოგვიანებით შვილის გათავისუფლება გახდა შესაძლებელი.

2001 წლიდან პროფესორი გედი გელბახიანი კვლავ იქნა არჩეული თსსუ-ის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ, რომელიც 2005 წელს გადააკეთდა ფიზი-



კური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ზოგადი თერაპიის დეპარტამენტად და მას ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. ამასთანავე, იგი იყო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო, სადისერტაციო, პედაგოგიური და თავისივე დეპარტამენტის საბჭოების წევრი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი. ბატონი გედის ხელმძღვანელობით შესრულდა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მიუხედავად პატიმრობაში გატარებული ჯოჯოხეთური წლებისა, იგი მაინც მხნედ გამოიყურებოდა, რაც განპირობებული იყო სპორტისადმი მისი ყოველდღიური დამოკიდებულებით; ახალგაზრდობაში საქართველოს ჩემპიონს ცურვაში, რითაც მრავალჯერ უსახელებია სამედიცინო ინსტიტუტი, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გაუწყვეტია კავშირი სპორტის ისეთ სახეობებთან, რომელიც ჯანსაღი ცხოვრებისთვის იყო აუცილებელი და იგი მისი ყოველდღიურობის თანამდგევი იყო, თუნდაც პატიმრობაში... გელბახიანების ოჯახის წევრთა დაპატიმრება 30 წლის მანძილზე გრძელდებოდა, მაგრამ მამა-



ნც ვერ მოუშალეს ფუძე, რის გამოც ბატონი გედი უდიდეს მადლიერებას გამოხატავდა სათაყვანებელი მეუღლის, ნუცა ტატიშვილის, მიმართ. ფასდაუდებლად მიიჩნევდა მის ამაგს ოჯახისადმი. პროფესიით ექიმმა, სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგის კათედრის პედაგოგმა, აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილის ქალიშვილმა, დაუნანებლად დატოვა სასახური მძიმედ დაავადებული მამამთილის, პატიმრობაში მყოფი მეუღლისა და შვილის გამო. „ეს იყო ოჯახისადმი თავგანწირვა და ამას აკეთებდა დაუყვედრებლად, ყოველგვარი ნუნუნის გარეშე, რაც ძალას გვმატებდა და გვამხნევებდა“, – აღნიშნავდა ბატონი გედი.

პატიმრობიდან თავდაღწეულს სისხარების განცდა არ ჰქონია, რადგან იქ, ჯოჯოხეთში შვილი დარჩა... გერმანიის ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის წლიურ შეკრებაზე მეუღლესთან, ქალბატონ ნუცასთან, ერთად მიწვეულმა ბატონმა გედმა, აუდიტორიას თხოვნით მიმართა უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინათ თავისი დახვრეტამისჯილი შვილის გადასარჩენად. ოცნება აუხდა ბატონ გედის – დახვრეტას გადაურჩა ათლეტური აღნაგობისა და უძლიერესი, დაუმორჩილებელი სულის მქონე მისი ძე. თითქოს უნდა ამოესუნთქა ოჯახს, მაგრამ უსამართლობით გულგასენილ ბაბუის სენსია პეტრე გელბახიანს გულმა უშუბთლა... ამით ნამდვილად გაუსაძლისი უბედურება დაატყდა გელბახიანებს... ისევ სულს სიძლიერემ გააგრძელებინა სიცოცხლე ბატონ გედის... უნდა ეცხოვრა ქალიშვილი თამარისთვის, შვილიშვილებისთვის, დედობაჩამნარებული მეუღლის გასამხნევებლად, თუმცა დიდხანს ეს ვერ შეძლო... მხოლოდ სიკვდილმა დაამარცხა იგი...

პროფესორმა გედი გელბახიანმა ჭეშმარიტად ზნეობრივი, პატიოსანი საქმეებით იცხოვრა; იმდენად მტკიცე ჰქონდა სინდისი, რომ მის მიმართ ჩადენილმა მრავალგვარმა არაადამიანურმა ქმედებამ ვერ შეუღალა იგი; არასოდეს დაურღვევია პრინციპი სამართლიანი ცხოვრებისა, არასოდეს განდგომია თავის ვინაობას, ამიტომაც იყო სხვისადმი ერთგულებით გამოჩენილი; ყველაფერი, რაც გააჩნდა, სამშობლოს შესწირა... შვილიც შესწირა სამშობლოს...

ნათელი დაგადგეთ! ამინ!

დალი გაბაქია

არსებობს

ეს ჩვენი ისტორიაა...

...დიდი მარხვის დღეები დგას... ეკლესია-მონასტრებში სწორედ ამ პერიოდში იხლება ურიცხვი სანთელი წუთისოფლიდან წასულთა ხსოვნისთვის... ახლა ხსოვნის დღეებია... ამიტომაც ვალად ვრაცხთ „სამედიცინო გაზეთში“ გავიხსენოთ მცირე ნაწილი მაინც იმ პიროვნებებისა, ვინც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა და ამაგი დასდო საქართველოში სამედიცინო განათლების განვითარებას. ამიტომაც გვსურს, მათ თანამედროვეთა მოგონებების მოშველიებით, კიდევ გავიხსენოთ ისინი, გავაცნოთ ახალ თაობებს ღირსეული წინაპრები, დაე, იცოდნენ: „ვისი გორისანი არიან“...

ალექსანდრე ნათიშვილი



დიდი წვლილი მიუძღვის ანატომიისა და პოსტოლოგიის განვითარებაში. მოკლე ხანში შეკრიბა და დაამუშავა ანატომიური ტერმინები – სტრუქტურებს მიანოდა ქართულად დაწერილი მშვენიერი სახელმძღვანელო. როგორც პიროვნება, მეტად ზრდილი, თავაზიანი და გულისხმიერი იყო. ჯერ კიდევ ხარკოვში ჰქონდა მოხვეჭილი მალაქონიჭიერი ლექტორის და პედაგოგის სახელი. საქართველოში კიდევ უფრო ჩამოყალიბდა იგი, როგორც მეცნიერი. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ქართული ანატომიური და პოსტოლოგიური სკოლების ღირსეული წარმომადგენლები.

ივანე თიკაძე



საქართველოში სამედიცინო-გინეკოლოგიური დარგის განვითარებაში დიდი მისი როლი. არაერთი გამოჩენილი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი ექიმი აღუზარდა მან სამშობლოს. ინტენსიური კავშირი ჰქონდა რაიონებში მომუშავე მედიკოსებთან. ხშირად ისიც, ისე როგორც გ. მუხაძე, სისტემატურად სტუმრობდა ხოლმე ნაშრომარ ექიმებს, აძლევდა სათანადო რჩევას-დარიგებებს. გ. თიკაძე დიდი ორატორული ნიჭით არ გამოირჩეოდა, ხშირად გურულადაც უქცევდა, იქაური გულფიცხობაც ახასიათებდა, მაგრამ თავდაჭერაც შეეძლო და იშვიათად თუ დაარღვევდა აკადემიური მსჯელობის ტონს.

სვიმონ პოპიძე



ოდესის უნივერსიტეტიდან გადმოვიდა თბილისში; სწორედ იქიდან ჩამოჰყვა, მკაცრი მომთხოვნი გამოცდილების სახელი. ცხარე ტემპერამენტის მქონე ადამიანი იყო, მეტად თავდაუშტერი გრძნობების გამოხატვაში. მის ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სტუდენტი საფუძვლიან ცოდნას გამომავლავებდა, მაგრამ უსაზღვრო იყო მისი აღშფოთება, როცა გამოცდაზე მოუშვებდნენ მსმენელი გამოცხადებულს. პრაქტიკულ მეცადინეობასაც თვითონ ატარებდა, რადგანაც სათანადოდ მომზადებული უმცროსი მასწავლებლები საკმარისად არ ჰყავდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ბავშვის ორგანიზმის ანატომიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე, ყურადღებას აქცევდა კვების პრინციპებს... მართალია, მაშინ ძველი იყო სამედიცინო ლიტერატურის შოვნა, მაგრამ პროფესორი ლექციებს ისე წვლიდა, მარტივად და გასაგებად კითხულობდა, რომ ყველას შეეძლო მათი სტენოგრაფიული სისწორით ჩაწერა.

სვიმონ ამირაჯიანი



მეტად სათნო ადამიანი იყო. ბაქტერიოლოგიის კათედრას ვინაგებდა, ერთხანს ჰიგიენის კურსსაც კითხულობდა. სხვაზე მეტად უჭირდა ქართულად მეტყველება, მაგრამ ერთხელად არ მიუცია საკუთარი თავისთვის იმის ნება, რომ ლექცია რუსულ ენაზე წაეკითხა. ბევრს შრომობდა. შედარებით ადრე გარდაიცვალა, მაგრამ თავისი საგნის გაქართულება მაინც მოასწრო.

საიგიროს ვირსალაძე



ფართო ერუდიციის, დიდი კლინიკური გამოცდილების მქონე თერაპევტი იყო. ცოდნა და გამოცდილება მოახმარა სამედიცინო კადრების მომზადების საქმეს. მისი ხელმძღვანელობით სათანადო წვრთნა და მომზადება მიიღო არაერთმა სახელმწიფომ მედიკოსმა. განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ს. ვირსალაძეს ტროპიკულ სნეულებათა, კერძოდ, მალარიის, შესწავლის და მათ სანიანდემდეგო ღონისძიებათა შემუშავებასა და ცხოვრებაში გატარების საქმეში; არ იყო დიდი მჭევრმეტყველი – ნელი, დუნე ლაპარაკი იცოდა, სიტყვის თავისუფლად გამოთქმა, წინადადებების მწყობრად დალაგება თითქოს უჭირდა. უყვარდა გერმანული ავტორები, მათი ნაწერებიდან მოტანილ გრძელ ციტატებს გერმანულად კითხულობდა, რაც კიდევ უფრო მეტად აძნელებდა, თუმცა, შინაარსით მდიდარ, მაგრამ გარეგნულად გაუმართავი ლექციების მოსმენას, მაგრამ, ეს „ნაკლებად საინტერესო ორატორი“, სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენდა მაშინ, როცა გაბრაზდებოდა და მოწინააღმდეგეთან კამათში ჩაებმეოდა; ამ დროს სიტყვას თავისუფლად იმორჩილებდა, აზრს მკაფიოდ გამოთქვამდა.

ნიკოლოზ კახიანი



ტოპოგრაფიული ანატომიის ლექციებზე პროფესორმა თუ მსმენელთა დიდი რაოდენობის მოზიდვა შეძლო, იმას ნიშნავს, რომ ის პირველხარისხის სპეციალისტად იყო აღიარებული. სწორედ ასეთი იყო უდროოდ გარდაცვლილი ნიკოლოზ კახიანი. ტილოზე მომუშავე გამოჩენილ მხატვარს ჰგავდა იმ დროს კახიანი; ახლა გადაცემა? – იშვიათი, შესანიშნავი; გარეგნობა? – უკეთესს რომ ვერ წარმოიდგენთ: ფართო შუბლი, ულამაზესი სახე, ხუჭუჭა თმები, მომაჯადოებელი თვალები, დამატყვევებელი გამოხედვა, სასიამოვნო დიქცია, აზრის მკაფიოდ, ნათლად გამოთქმის საუცხოო უნარი... ზრდილობა, თავაზიანობა, თავმდაბლობა... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც ბუნებას შეუძლია თავისი რჩეულის დაჯილდოება. იგი განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა ყველას.

გრიგოლ მუხაძე



მან დიდი როლი შეასრულა ქართული უნივერსიტეტის დაარსების, კერძოდ, ამ უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ორგანიზაციის საქმეში. მუხაძის ქორეგულმა კლინიკამ საქართველოს მეტად საჭირო მალაქონის მალაქვალისფერი კადრი აღუზარდა. დიდი კლინიკისტი ყურადღებისა და მზრუნველობის გარეშე არ

ტოვებდა რაიონებს, სადაც მისი მოწოდებები მუშაობდნენ – ზაფხულში მორიგეობით სტუმრობდა ხან ერთს, ხან მეორეს, რითაც უდიდესი წვლილი შეჰქონდა მოსახლეობის ჯანდაცვის საქმეში.

გამოსახილავი მაია გურგენიძე



ქალბატონი მაია გურგენიძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუციციხეში 1939 წელს. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო გელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მან თავი გამოავლინა ჭეშმარიტ მკვლევარ-ექსპერიმენტატორად, რაც დაადასტურა მოსკოვში დატული სადისერტაციო ნაშრომით მიკრობოთა გენეტიკაში, რის შემდეგაც მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1988 წელს მუშაობა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მედიცინის ისტორიის და სამედიცინო ეთნოგრაფიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო შემდეგ – მედიცინის ისტორიის კათედრაზე ასისტენტად. იგი ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა მოღვაწეობას სრულიად ახალ სფეროში და, შეიძლება თქვას, ნიჭიერებისა და ინტელექტის წყალობით, წარმატებით გაართვა თავი. მან თავი გამოიჩინა საინტერესო ლექციებით, როგორც შესანიშნავმა პედაგოგმა და სამეცნიერო ნაშრომებით, როგორც ალლოიანმა მკვლევარმა. მისი სტატიები საქართველოს მედიცინის ისტორიის საკითხებზე ამჟღავნებდა როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოეთის სამეცნიერო კრებულებს, ჩვენი უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთს“. ამ დამსახურებისთვის მიღებული აქვს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უმწინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატიო სიგელი – „საქართველოში მედიცინის განვითარებისათვის გაწეული ღვაწლისა და ხალხისთვის უანგარო მსახურებისთვის“.

ქალბატონი მაია იყო ზედმინევიტი გულისხმიერი, კეთილმოსურნე, ერთგული და პრინციპული ადამიანი; გამოირჩეოდა ხასიათის სიმტკიცით და პირდაპირობით. სწორედ ამ შესანიშნავი თვისებების გამო უყვარდა იგი ყველას, მის მეგობრებსა და თანამშრომლებს.

მზრუნველმა და მოსიყვარულე დედამ აღზარდა შესანიშნავი ქალიშვილი, უზადო პროფესიონალი ნინო გურგენიძე და სათაყვანებელი შვილიშვილები – ალექსანდრე და ეკატერინე გორგაძეები.

პროფესორი **რამაზ შენაგალია**, თსუ-ის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი; თანამშრომლები: ბიოლოგიის დოქტორი: **ნანა ხალაია**, **ჯილდა გურგენიძე**

რედაქციისგან:
ქალბატონი მაია რედაქციის მეგობარი და გულშემატკივარი იყო – ყოველ ახალ სათქმელს, სატკივარს თუ გასაუდრებელს დროულად გვანვდიდა და სტატიის გაზეთში დაბეჭდვისას ბავშვით ხარობდა... ბუნებით თბილი და ხალისიანს ერთი დიდი ღიროსება ჰქონდა: ადამიანები უყვარდა. შემთხვევითი შეხვედრისას ბავშვით მოგვეფერებოდა, მოგიკითხავდა, გულწრფელად ხარობდა შენი სიხარულით და იზიარებდა გულისტკივილს...

გამორჩეული ქალბატონი გახლდათ: საოცარ ხიბლთან და შარმთან ჰარმონიულად თანხვედრობდა მისი ნიჭიერება, შინაგანი კულტურა და კეთილშობილება... უმშვენიერესი ქალბატონი დააკლდა არა მარტო დეპარტამენტს, რედაქციას, მთელ უნივერსიტეტს, არამედ ყველას, ვინც კი მას იცნობდა... და რაკი ასეა, იგი ვალდებული წასულა ამქვეყნიდან... უფალმა დაუშვიდროს სასუფეველი!..

ქვემოქმედება

“ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით”



6 წლის ნიკა მიღოს-ქიქინის დასახმარებლად, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება ქიმიო-თერაპიის მორიგი კურსი და მესამე ოპერაცია.

საქველმოქმედო საღამომო მონაწილეობდნენ ფოლკლორული ჯგუფები და ქართული ესტრადის ცნობილი შემსრულებლები: **სოფო ბეგია, ვაჟა მანია, ოთო ბერიშვილი, ჯაზ-ბენდი; ახალიგაზრდა პოეტები...**



ახლანან საქველმოქმედო ორგანიზაცია „ადენისი“ ორგანიზებით და თსუ-ის სტუდენტური თვითმართვლობის მხარდაჭერით უნივერსიტეტის „წითელ დარბაზში“ ჩატარდა საქველმოქმედო საღამო – „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“ – სიმსივნით დაავადებულები

ყურადღება!

მიმდინარე წლის 13 აპრილს, 13 საათზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის (ვაჟა-ფშაველას პრ. №33) I სართულზე, სადისერტაციო დარბაზში აბიტურიენტებისთვის ჩატარდება „ღია კარის დღე“.

სამიზნარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თსუ-ის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ლუიზა გაბუნას, დედის,

ლუარა იმნაის გარდაცვალების გამო.